N გ-20-03/2688
21/08/2020

2688-გ-20-03-2-202008211751

შპს „ფორმულას“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 27 აგვისტოს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება შპს „ფორმულასთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართვლოს კანონის 69[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუქნტის შესაძლო დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი N20-10-1684, 17/08/2020).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

დანართი:

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-1684, 17/08/2020) თანდართული მასალით - 3 ფურც. და 1 CD დისკი.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია